ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3724057001**
თარიღი:**26/02/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული 2022 წლის საბიუჯეტო პროგრამის „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“-ს მონიტორინგის ეფექტიანობის აუდიტის მოსმენის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 26 თებერვალს მოისმინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული 2022 წლის საბიუჯეტო პროგრამის „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“-ს მონიტორინგის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

კომისია აღნიშნავს:

- წარმოდგენილი აუდიტის განხორციელების საფუძველია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის.

-შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამის მონიტორინგის ეფექტიანობის აუდიტმა დაადასტურა რომ შემოწმების განხორციელებისას შიდა კონტროლის სისტემაში არ გამოვლენილა არსებითი ნაკლოვანებები და ხარვეზები, ამასთან ერთად განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია აუდიტის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აუდიტის ანგარიში გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი